,,დამტკიცებულია”

სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის” დირექტორის მ/შ

2025 წლის 14 თებერვლის N 22 „ო“ ბრძანებით

სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის”

საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პროცედურები

მუხლი 1. საიფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესაბამისობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროცესებთან.

1.1. კოლეჯის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა მოიცავს კომპიუტერულ ტექნიკას, ქსელს, უსაფრთხოების კამერებს. კომპიუტერულ ტექნიკას კოლეჯი იყენებს როგორც მართვის, ასევე სასწავლო პროცესის მიზნებისათვის. სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით, რომლებიც პერიოდულად განახლებადია. კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკა ინტერნეტში ჩართულია 24/7 რეჟიმით, როგორც პერსონალისათვის განკუთვნილ სამუშაო ოთახებში, ასევე სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილ სასწავლო სახელოსნოებში, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, თეორიულ აუდიტორიებში, კომპიუტერულ კლას-კაბინეტებში და სხვ.

1.2. საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვას უზრუნველყოფს კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორი, რომელიც სისტემატიურად ამოწმებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრსტრუქტურის შესაბამისობას კოლეჯში მიმდინარე პროცესებთან და კვარტალში ერთხელ ანგარიშს წარუდგენს ხელმძღვანელს.

1.3. კომპიუტერული ტექნიკისა და პერიფერიული მოწყობილობების გამართულ მუშაობას (როგორც ტექნიკურ ისე პროგრამულ დონეზე) უზრუნველყოფს ქსელის ადმინისტრატორი.

1.4. საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე მუდმივ ზედამხედველობას უზრუნველყოფს ქსელის ადმინისტრატორი, რომელიც მომხმარებელთა მხრიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე ახორციელებს კომპიუტეული ტექნიკის მდგომარეობის შესწავლას, ადგენს საჭიროებას ტექნიკის, შეკეთების/ახლით ჩანაცვლების შესახებ და წერილობითი სახით წარუდგენს დირექტორს.

1.5. ქსელის ადმინისტრატორის ინფორმაციის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი, იღებს გადაწყვეტილებას კომპიუტერული ტექნიკის, შეკეთების/ახლით ჩანაცვლების შესახებ.

1.6. კოლეჯის მთელ პერიმეტრზე, მათ შორის ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, მისაღები და სხვა უზრუნველყოფილია ინტერნეტის უსადენო წვდომის ქსელით (WIFI). უსადენო ქსელის მართვა და მორიტორინგი ხორციელდება ქსელის ადმინისტრატორის მიერ.

1.7. უსადენო ქსელის უსაფრთხოებასა და დაცულობას, როგორც ტექნიკურ ასევე პროგრამულ დონეზე ახორციელებს ქსელის ადმინისტრატორი.

1.8. კოლეჯს ინტერნეტ მომასახურეობას უწევს ინტერნეტ პროვაიდერი, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. მომწოდებელისგან ინტერნეტის მიღება ხდება ოპტიკურ- ბოჭკოვანი არხის საშუალებით.
1.9. სატელეფონო სისტემის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს ქსელის ადმინისტრატორი.

მუხლი 2. IT ვირუსებისგან დაცვის სისტემა.

2.1. კოლეჯში მოწყობილია ზოგადი სტანდარტის შესაბამისი ქსელი (Router -- ვარსკვლავური ტოპოლოგიის ლოკალური ქსელი). საკაბელო ქსელით დაფარულია კოლეჯის მთელი ტერიტორია.
2.2. კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორის მიერ, ყველა კომპიუტერში მოწმდება ანტივირუსული პროგრამების არსებობა და გამართული მუშაობა.
2.3. უსადენო ქსელის ყველა წერტილი დაცულია უსაფრთხოების შიფრით, რომლის განახლება ხდება თვეში ერთხელ.
2.4. კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორის მიერ ჩატარებული კომპიუტერული ქსელის მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღიურად. ქსელის მონიტორინგის ამსახველი ჩანაწერები ინახება მონიტორინგის ჩატარებიდან 2 კვირის განმავლობაში მყარ დისკზე.

მუხლი 3. პერსონალურ მონაცემთა დაცვა.

კოლეჯის ვიდეო-სათვალთვალო სისტემის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს ქსელის ადმინისტრატორი. საჭიროების შემთხვევაში ვიდეო ჩანაწერების შენახვა, ჩანაწერის ნახვა/სხვა პირთა დაშვება სანახავად ხორციელდება პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმების შესაბამისად.